წიგნი ეძღვნება მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის შექმნის ათ წლისთავს.

მადლიერებით გამთბარი ამ პატარა წიგნით გვინდა, ქრისტესმიერი სიყვარული გამოვხატოთ მეუფე ილარიონისა და სვანეთში მოღვაწე სასულიერო პირების მიმართ, რომლებმაც სიბნელიდან სინათლისაკენ, სიცრუიდან სიმართლისაკენ, სიკვდილიდან უკვდავებისაკენ მიმავალი გზა გვიჩვენეს. ქედს ვიხრით მათ წინაშე და შენდობას ვითხოვთ, თუკი ვერ შევძელით, დამსახურებისამებრ გადმოგვეცა მათი ლოცვითა და შრომით განვლილი გზა.

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის სასულიერო დასი

* * *

დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი მხარე სვანეთი მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე. ის ქვეყნიერების შემოქმედს მარადიული თოვლით დაფარული მთების ციხე-სიმაგრეში მოუქცევია და, უმშვენიერეს კუთხესთან ერთად, მსასოებელი ხალხი, ამ მთათა მსგავსად, სიმტკიცითა და გაუტეხლობით დაუჯილდოებია. საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე ოდითგანვე თავისი ქვეყნის უღალატო მეციხოვნედ და ქართული კულტურის სავანედ ითვლებოდა.

ათასი კოშკის მხარეში მუდამ ურყევად იდგნენ თავისუფლების სადარაჯოზე. სვანეთი ქრისტიანული, მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოს მყარი ბურჯი იყო ოდითგან. აქ ძნელბედობამ ბევრჯერ მოიმკო „მოსავალი“, მტერთან ერთად მკაცრ ბუნებას და სტიქიასაც ებრძოდა სვანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საუკუნიდან საუკუნემდე ქმნიდა საქართველოს საამაყო ისტორიის ფურცლებს. საქართველოს ამ ყველაზე მი-

უშგული

უდგომელ კუთხეს არასოდეს უცხოვრია დედა-საქართველოსაგან მოწყვეტილს, მამულის მაჯისცემის გარეშე, ამიტომაც ყოველთვის ამბობდა თავის სიტყვას.

სვანეთში არ არსებობს ალაგი, სადაც არ გრძნობ უფლის მყოფობას. ალბათ, წმინდა მოწამეთა ლოცვითაა გაჟღენთილი ყოველი ქვა, ლოდი, რომლითაც სულის სიმტკიცის მომცემი ულამაზესი ეკლესია-მონასტრები უშენებიათ, ზეცად აზიდულან ლოცვად და ადამიანთა შეწევნას შესთხოვენ უფალს.

სვანეთის სულიერების საწყისებს მკვლევარები უძველეს დროს უკავშირებენ. გადმოცემით, სვანეთში თვით იესო ქრისტეს მოწაფეებს – წმინდა ანდრია პირველწოდებულს, წმინდა სვიმონ კანანელს, წმინდა მატათას უქადაგიათ და პირველი ეკლესიაც დაუარსებიათ.

მიუხედავად ბევრი სირთულისა, სვანეთმა შესძლო, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, ეტვირთა, გაეზიარებინა და შეესისხლხორცებინა ქრისტიანობა, რომელიც, საუკუნეთა წიაღიდან მომდინარე, დღემდე ქართველთა რწმენისა და ეროვნული ერთიანობის ფუნდამენტური ქვაკუთხედია.

სვანეთში ყველა გზა ტაძრიდან ტაძრამდე მიდის...

ფრესკებით მოხატული მცირე ზომის ეკლესია-მონასტრები, აქ დაცული ხატ-ჯვრებითა და ხელნაწერებით, ძველ ქართველ ოსტატთა მაღალ სულიერებასა და კულტურაზე მეტყველებენ. ზემო სვანეთი ბარისთვის, ადრიდანვე, საეკლესიო სიწმინდეთა საცავად ითვლებოდა. ეს მხარე ცნობილი იყო, აგრეთვე, ხატწერის, ხესა და ლითონზე კვეთის სკოლებით. სვანეთის მხატვრული და სულიერი საგანძური უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია. ამ ძეგლების დიდი ნაწილი დაცულია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, რომელიც დაარსდა 1936 წელს. ამ მუზეუმის დაარსებამ უდიდესი როლი იქონია ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საქმეში. სვან საზოგადო მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა, ეთნოგრაფ ეგნატე გაბლიანის თაოსნობით, მიიღო გადაწყვეტილება, დაეარსებინათ მუზეუმი და ამით ეხსნათ კულტურული

მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურებისაგან. სწორედ ამიტომ, სვანეთს განძთსაცავს და ცოცხალ მუზეუმს უწოდებენ.

მაცხვარიში. მაცხოვრის ხატი. XV ს.

მაცხვარიში. ღვთისმშობლის ხატი. XVI ს.

უშგული. ჩაჟაშის მაცხოვრის ხატი. X ს.

წმ. ნიკოლოზის ხატი. XI ს. მესტიის მუზეუმი.

წმ. ორმოცი სებასტიელი მოწამის ხატი. XII ს. მესტიის მუზეუმი.

წმ. იონა წინასწარმეტყველის ხატი. XI-XII ს.ს.

წმ. გიორგის კარედი ხატი. XIII ს. ლატალი.

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ სვანეთში დავანებული მართლმადიდებლური კულტურის საუნჯე უტოლდება მსოფლიოში ისეთ აღიარებულ საგანძურს, როგორიც სინასა და ათონის ეკლესია-მონასტრებში არსებული სიწმინდეების საცავებია. ეს კუთხე მეცნიერებისათვის ყოველთვის ითვლებოდა ნაყოფიერ სამუშაო ადგილად. „სვანეთში შემონახული ქრისტიანული აღმოსავლეთიდან, ბიზანტიიდან და აღორძინების ხანის დასავლეთ ევროპიდან თუ სხვა ადგილებიდან შემოტანილი ნივთები მჭევრმეტყველი მოწმობაა იმისა, რომ ფეოდალურ სვანეთს, ჯერ კიდევ ჰქონია ცხოველი კულტურული ურთიერთობა მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებთან და არა მარტო საქართველოს სხვა კუთხეებთან.“ (გ. ჩუბინიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ხელოვნების ძეგლები).

სვანეთი თვით მეფე-დედოფლებისთვის ითვლებოდა საიმედო განძთსაცავად და, ამიტომ, აქაურ ტაძრებსა თუ სვანეთის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მუზეუმში მათ მიერ შემოწირული სიწმინდეები დიდი რუდუნებით ინახება.

სვანი კაცი, თუ საჭირო გახდებოდა, შვილს გასწირავდა და მასზე მიბარებულ საგანძურს ერთგულად დაიცავდა, რაც ჩვენი წინაპრების სულის სიმტკიცესა და პატიოსნებაზე მეტყველებს. თუმცა, სვანეთი მხოლოდ განძის შემნახველი როდი იყო. აქ ადგილზევე იქმნებოდა ხელოვნების შედევრები, რომლებიც დღეს ეროვნული კულტურის საგანძურს წარმოადგენენ.

ყველა ეს ფაქტი ნათელი მაგალითია იმისა, რომ საქართველო ქრისტიანობამ გადაარჩინა და ამ გადარჩენაში უდიდესი წვლილი მიუძღვის სვანეთსაც.

მაგრამ, სადაც დიდია სიწმინდე, იქ ბოროტიც განსაკუთრებით იბრძვის...

ჟამთასვლა თავისას ითხოვდა, დროის ქარტეხილებმა ბევრი უბედურება მოუტანა საქართველოს და, მათ შორის, სვანეთს.

თითქოს, ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა...

1811 წელს საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ავ-

ტოკეფალია გაუქმდა. მოყვრად მოსულმა მტერმა მძიმე კვალი დატოვა ჩვენს ქვეყანაში. მას აწვალებდა საქართველოს მდიდარი წარსული, ქართული გენი, ქართული სული. აწვალებდა მარადისობასთან შერწყმული საქართველოს ფესვები. იკრძალებოდა მართალი სიტყვა და, მაინც, თუ ვინმე გაბედავდა სიმართლის თქმას, მოწამეობრივი აღსასრულით, დიდების შარავანდედით განათლებული უერთდებოდა ზეციურ საქართველოს.

სწორედ ამ პერიოდმა დაატყო ყველაზე მძიმე კვალი სვანეთს. რუსი ეგზარქოსების ხელყოფით ჩვენი წინაპრების მიერ რუდუნებით ნაშენებმა ბევრმა ტაძარმა იცვალა იერსახე. ამ პერიოდიდან – არცთუ შორეული წარსულიდან იღებს სათავეს მრავალი წარმართული დღესასწაული სვანეთში.

ესეც არ გვაკმარა მტარვალმა...

სისხლისფერმა სამოცდაათწლიანმა ბნელეთმა მოიცვა ჩვენი ქვეყანა. საქართველოში რა ღირებულებებიც გადაურჩათ უცხო დამპყრობლებს, მათი უმეტესი ნაწილი საბჭოთა რეჟიმმა გაასწორა მიწასთან. კომუნისტებმა მოახერხეს არა მარტო ტაძრების, არამედ ადამიანთა სულიერების დანგრევაც. იდევნებოდნენ სასულიერო პირები, სვანეთში ჩაიკეტა ყველა ეკლესია-მონასტერი, შეწყდა ღვთისმსახურება. რწმენა, ქრისტიანობა ტაბუდადებული აღმოჩნდა. იდუმალებამ მოიცვა წინაპრების ლოცვით გაჯერებული ტაძრები. ხალხი ჩაკეტილი ტაძრის კარებთან ლოცულობდა. მხოლოდ მიუწდომელის კრძალვას იწვევდნენ ჩვენი სალოცავები. ათასწლოვანი ზარები არ ახმიანებდნენ ქრისტეს ხმას, აღარ მოუწოდებდნენ ხალხს ლოცვისკენ, განგაშზე თუ შემოჰკრავდნენ-ხოლმე მხოლოდ...

ამ უღმერთობის პერიოდში, 1989 წელს, ერობაში რეზო ჩართოლანი (ამჟამად დეკანოზი გიორგი) მეუფე კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით იკურთხა მღვდლად და მშობლიურ კუთხეში – მესტიის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარში დაიწყო ღვთისმსახურება. მან საოცრად რთული და ეკლიანი გზა გამოიარა, მაგრამ, მიუხედავად სიძნელეებისა, ქრისტეს სიყვარულით განმტკიცებული უძლებდა ყველა წინააღმდეგობას. თავდაპირველად მას მარტოს უწევდა ღვთისმსახურების ჩატარება. ის იყო მღვდელიც, მედავითნეც, მგალობელიც და მრევლიც... მაგრამ, მამა გიორგიმ უდიდესი მოთმინებით მოახერხა და შემოიკრიბა მრევლი.

1994 წელს, მამა გიორგი და მესტიის მკვიდრი ირაკლი ნიგურიანი (ამჟამად დეკანოზი იოსები) პატრიარქთან საქმიან შეხვედრაზე იყვნენ თბილისში. პატრიარქს ჩვეული გულისხმიერებით გამოუკითხავს მამა გიორგისთვის მისი მდგომარეობა და როცა გაუგია, რომ მოძღვარს არც სტიქაროსანი ჰყავდა და არც მგალობელი და მედავითნე, ალბათ, ღვთივგანბრძნობილმა პატრიარქმა განჭვრიტა ირაკლი ნიგურიანის სულიერი დამოკიდებულება ეკლესიისა და საკუთარი კუთხის მიმართ, ორივენი სიონში დაუბარებია საღამოს ლოცვაზე. ლოცვაზე მისულ ირაკლი ნიგურიანისთვის პატრიარქის სტიქაროსნებს ხელი ჩაუკიდიათ და პატრიარქის კურთხევით საკურთხეველში შეუყვანიათ. პატრიარქს მისთვის თავისი ხელით სტიქარი ჩაუცმევია და მამა გიორგისთვის უთქვამს: დღეიდან სტიქაროსანი გეყოლებაო... თუმცა, ირაკლი ნიგურიანისთვის ეს ფაქტი სრულიად მოულოდნელი და ბოლომდე გაუცნობიერებელი იყო. მამა გიორგის სურვილი ყოფილა, თავის სტიქაროსანს სასულიერო აკადემიაში ჩაებარებინა, მაგრამ პატრიარქს უთქვამს: ამისთვის ახლა სვანეთია ყველაზე დიდი აკადემია და იქ გაიაროს ეს სკოლაო. რა თქმა უნდა, პატრიარქის კურთხევისამებრ მოხდა ყველაფერი.

1996 წელს, ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა (ფაჩუაშვილი) მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაულზე დიაკვნად და, იმავე წელს, ნიკოლოზობას, მღვდლად აკურთხა ირაკლი ნიგურიანი და იოსები დაარქვა.

ოთხი წელი მსახურობდა მამა იოსები თავის მშობლიურ კუთხეში, ბევრი სულიერი შვილი გაზარდა და დააყენა ღვთის გზაზე, მათ შორის მამა გიორგი (ნიგურიანი), რომელიც ამჟამად ჭუბერის ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძ-

ღვარია. ის წლების განმავლობაში მამა იოსების სტიქაროსანი და მედავითნე იყო.

2000 წელს, იმჟამად ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოს დავითის (ტიკარაძე) კურთხევით, სასულიერო პირების სიმცირის გამო, მამა იოსები ცაგერში გადაიყვანეს. იმ დროს ცაგერისა და სვანეთის ეპარქიაში მხოლოდ ორი მღვდელი მსახურობდა – მამა გიორგი (ჩართოლანი) და მამა იოსები (ნიგურიანი). მათ, თითქოს, თანაბრად გაიყვეს ტვირთი და ერთი ზემო და მეორე კი ქვემო სვანეთში შეუდგა მძიმე, მაგრამ ტკბილი უღლის ტარებას.

ზემო სვანეთში კვლავ მარტო უწევდა მსახურება მამა გიორგის. იგი წირვა-ლოცვას, ძირითადად, მესტიის წმინდა გიორგის ტაძარში ატარებდა. ამ სულიერ ნუგეშს მოკლებული იყო სვანეთის დანარჩენ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა. შეუძლებელი იყო, ერთ სასულიერო პირს, ისეთ რთულ რეგიონში, როგორიც სვანეთია, მოეხერხებინა ყველა სოფელში მსახურების ჩატარება.

სოფლებში ტაძრები ისევ ჩაკეტილი და უმოქმედო რჩებოდა. უფლის სიყვარული დიდი იყო, მაგრამ რწმენა, თუმცა ნაწილობრივ, მაინც ჰგავდა მართლმადიდებლობას. წარმართული ელემენტებით შეზავებული ლოცვით გამოიხატებოდა ღვთის სიყვარული. ძირითადად, ეს სისხლიანი მსხვერპლშეწირვით სრულდებოდა, თანაც ტაძრის ეზოში, ტაძრის კარებთან. ტაძარი, საღვთო წეს-განგებულებით დადგენილი ლოცვის ნაცვლად, დაფიცებასთან, დაწყევლა-შერისხვასთან ასოცირდებოდა.

ამქვეყნად წირვა-ლოცვაზე დიდი მსახურება არ არსებობს. ეს არის მწვერვალი ღვთის დიდებისა: ლიტურგიისას ქრისტეს სისხლსა და ხორცს ვეზიარებით. ამის სანაცვლოდ, ჩვენებური წეს-ჩვეულებით აღვლენილი ლოცვა, ხშირად, სამწუხაროდ, მოუნათლავი ადამიანის ხელითაც სრულდებოდა.

დიდია და მწყალობელი უფალი. კაცთმოყვარე ღმერთმა უნუგეშოდ არ დაგვტოვა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-

პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, 2002 წლის 17 ოქტომბერს, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია ცალკე ეპარქიად ჩამოყალიბდა და მის მწყემსმთავრად მეუფე ილარიონი (ქიტიაშვილი) დაადგინეს.

ვმადლობთ უფალს ამ დღისთვის.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სიყვარულით ჩააბარა თავისი სამწყსო მეუფე ილარიონს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, 2002 წლის 3 ნოემბერს და ამ სიტყვებით მიმართა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! ჩვენთან არს ღმერთი! თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსო ილარიონ!

„დიდ ხარ შენ, უფალო და საკვირველ არიან საქმენნი შენნი და ვერვინ შემძლებელ არს მადლის მიცემად საკვირველებათა შენთა“.

მართლაც, დიდი, გამოუთქმელი და მიუწდომელია განგება ღვთისა, რომელმაც აგირჩია შენ ეპისკოპოსად ღვთივკურთხეულისა მესტიისა და ზემო სვანეთისა. დღეს განსაკუთრებული დღეა კიდევ იმით, რომ არის ხსენება ღირსისა მამისა ჩვენისა ილარიონ დიდისა, ასევე ილარიონ ქართველისა. სულ რამდენიმე დღის წინ კი კანონიზირება მოხდა ილარიონ ახლისა. აი, ეს სამი ღირსი დიდი მამა დღეს აღავლენდა თქვენთვის ლოცვას, რათა უხვად გარდამოსულიყო თქვენზე მადლი სულისა წმიდისა, „უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი“. ღირსი მამა ილარიონი არის საოცარი მაგალითი დიდი მოღვაწეობისა.

თქვენთვის ცნობილია, რომ IV საუკუნეში მცხოვრები ილარიონ დიდი წავიდა უდაბნოში, ლოცვა-კურთხევა აიღო ღირსისა მამისა ჩვენისა ანტონი დიდისაგან და შეუდგა სულიერ მოღვაწეობას.

დღეს თქვენ იწყებთ მოღვაწეობას ახალ სულიერ საფეხურზე და ამას ეწოდება მღვდელმთავრის მოღვაწეობა. წმინდა მამები ამბობენ, რომ მღვდელმთავრის ტვირთი მოწამეობრივ-

ია, რადგან იგი პასუხს აგებს არა მარტო თავის სულისთვის, არამედ იმ მრევლისა და სამღვდელოებისთვის, რომელიც, უფლის განგებით, მას ჩაბარდა.

მესტია და ზემო სვანეთი არის საოცარი, სასიქადულო და საამაყო კუთხე საქართველოსი. იქ ცხოვრობენ ქართველები, რომელნიც საუკუნეების მანძილზე იცავდნენ და იცავენ სიწმინდეს, იცავენ ჩვენს ხატებს, ჩვენს ჯვრებს.

სრულიად საქართველომ სწორედ ამ კუთხეს ანდო თავისი დიდი საუნჯე. შენ მიდიხარ იქ, სადაც ძლიერია ქართული სული, სადაც ძლიერია მართლმადიდებელი სარწმუნოება. მათ მხოლოდ ეკლესიურობა აკლიათ. მხოლოდ ეს უნდა ასწავლო შენ იქ მცხოვრებთ. მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია იქნება ერთ-ერთი საუკეთესო და სამაგალითო. მიზანს რომ მიაღწიო, საჭიროა დიდი რწმენა, დიდი სიყვარული, დიდი მოთმინება, დიდი თავმდაბლობა და მორჩილება. ეს თვისებანი უნდა აჩვენო იქ მცხოვრებ ხალხს და, მე დარწმუნებული ვარ, ამ კუთხის სასწაულებრივი მოქცევაც მოხდება.

მართლაც, გამოუთქმელი და მიუწდომელია განგება ღვთისა, რომელმაც გამოგატარა შენ ცხოვრების გზა და მოგიყვანა სვეტიცხოველში, რათა უფალს მოეცა დიდი მადლი მღვდელმთავრობისა. ეს არის უდიდესი მადლი, რომელიც ეძლევა ამქვეყნად ადამიანს, სასულიერო პირს. შენ უნდა გაუფრთხილდე ამ მადლს და, არა მარტო გაუფრთხილდე, არამედ განამრავლო და გააძლიერო იგი სულიერი მოღვაწეობით, შენი დიდი რწმენითა და სიყვარულით. უფალი, რომელმაც მოგიწოდა ამისათვის, მოგცემს ძალას, რათა ღირსეულად იტვირთო ის ჯვარი, რომელიც მოგეცა შენ დღეს დიდ სვეტიცხოველში.

მოხარული ვარ, რომ დღეს ამ ხელდასხმას ესწრებიან ხელისუფლების წარმომადგენელნი და მორწმუნენი მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიიდან, რომელნიც ლოცულობდნენ ჩვენთან ერთად, რათა უხვად გადმოსულიყო შენზე მადლი სულისა წმიდისა.

ახლა კი, მიიღე ეს კვერთხი, როგორც სიმბოლო ეპისკოპოსის ძალაუფლებისა და მადლისა, როგორც სულიერი საყრდენი შენს მსახურებაში და დალოცე მრევლი, ერი და სრულიად საქართველო, რომელიც მოელის შენგან დიდ მოღვაწეობას. ამინ!“



დიდი პასუხისმგებლობით ჩაიბარა მღვდელმთავრის კვერთხი უკვე მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა და სულიწმიდის მადლით შემოსილმა მეუფე ილარიონმა შემდეგი სიტყვებით გამოუცხადა ნდობის გამართლება უწმინდესსა და სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მრევლს, 2002 წლის 3 ნოემბერს, სვეტიცხოვლის ტაძარში:

„თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, ყოვლადსამღვდელონო მეუფენო, მამანო, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ღვთივკურთხეულო შვილნო!

ადამიანის გონება ვერ მისწვდება ღვთის განგებასა და საიდუმლოებას, უსაზღვროა წყალობა ღვთისა, რომელმაც, თქვენი უწმინდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, გამომირჩია მე, უღირსი მონა ღვთისა, ეპისკოპოსად მესტიისა და ზემო სვანეთისა.

დღევანდელი დღე ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია. კარგად ვიცი, რომ ეს პატივი არ არის ჩემი დამსახურება, იგი ღვთისგან ნაბოძებია. ღმერთს ვთხოვ, ამ ძნელ დროს მადლიერების ისეთი გრძნობა მომცეს, რომ სიცოცხლის ბოლომდე სიხარულითა და მოწიწებით მამსახუროს მისი სახელის სადიდებლად.

დღეს, როდესაც ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობრივი სული, რომლითაც გაჯერებულია მთელი სამყარო, როცა ასე მძაფრად არის დაპირისპირებული ბოროტი და კეთილი, როცა ცხვრის ქურქში შენიღბულნი ღვარძლს თესავენ ადამიანების გულებში, ჩვენი გადამრჩენელი და ღმერთთან მიმყვანებელი მართლმადიდებლობის მტკიცედ დაცვაა. ამ ურთულეს და უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვების მოტანა შეუძლია მხოლოდ უფალს, წყაროს ყოველგვარი სიცოცხლისა

და გამარჯვებისა. ამ პირობებში განურჩევლად დიდია ეკლესიის მსახურთა როლი, რომელთაც უცვლელად უნდა მიიტანონ ღვთის სიტყვა ადამიანებამდე.

მოძღვარსა და, მით უმეტეს, მღვდელმთავარს განსაკუთრებით უნდა ახასიათებდეს სიწმინდე, თავმდაბლობა და მშვიდობა. ვგრძნობ რა ამ უდიდეს პასუხისმგებლობას თქვენი უწმინდესობისა და ქართველი ერის წინაშე, ვეცდები, ვიყო ერთგული ჩვენი დედაეკლესიისა. ვევედრები ღმერთს, რათა მომანიჭოს განცდა თვისთა ცოდვათა.

კაცი ცოდვებითა და უწესობით კი არ უნდა ამაყობდეს, არამედ ღმერთს უნდა სთხოვდეს განკურნებას და მხოლოდ ამ შემთხვევაში მოვა მასთან ყოველთა მკურნალი.

ამ უდიდეს მოვალეობას მე ვიტვირთავ თქვენი მამამთავრობისა და წმინდა სინოდის შემწეობის იმედით. მე მჯერა, რომ არ მომაკლებთ თქვენს მზრუნველობას.

განვიცდი დიდ სიხარულს, რომ მსახურება მომიწევს საქართველოს ამ უმშვენიერეს მხარეში, რომელიც გამორჩეულია თავისი სიწმინდეებითა და ტრადიციებით. ამ მხარეს დღესაც ბევრი ტკივილის გადატანა უწევს და ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, ჩვენს ერსა და ეკლესიას დღეს ბევრი რამ უჭირს, სამაგიეროდ აქვს უმთავრესი, ჭეშმარიტი სარწმუნოება – მართლმადიდებლობა და ძალა ლოცვისა და ეს ლოცვა განსაკუთრებულია მაშინ, რაჟამს თქვენ გვლოცავთ. უმორჩილესად გთხოვთ, ილოცოთ ჩემთვის და შეევედროთ უფალს, რათა მან შემაძლებინოს ეს უმძიმესი სამსახური ღვთისა და ჩემი მშობელი ხალხის წინაშე.

ბოლოს, მინდა, მადლობა გითხრათ თქვენ, თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, აგრეთვე, მეუფე იობს, მეუფე დავითს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემი სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებაში, წმინდა სინოდის თითოეულ წევრს იმ ნდობისთვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩემდამი. შემაძლებინოს უფალმა, ღვთისგან მონიჭებული მადლით,

ერთგულად ვემსახურო მართლმადიდებელ დედაეკლესიას და ქართველ ერს!

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე, ცოდვილი!“

სვეტიცხოვლის მაცხოვრის წმინდა კვართი და პატრიარქის ტკბილი ნუგეში უკვალავდა გზას მეუფე ილარიონს სვანეთისაკენ.

ეს დღე უფალს ეკუთვნის მისდამი განუზომელი მადლიერებით, დაუვიწყარია ამ დღის მნიშვნელობა მესტიისა და ზემო სვანეთის ისტორიაში.

ასწლოვანი დუმილის შემდეგ, სვანეთის ყველა ეკლესია-მონასტერში ზარის რეკვა ისმის, დაირღვა უღმერთო სიჩუმე, უფალი უხმობს მრევლს ტაძრებისკენ.

თითქოს, ამ დღეს ელოდნენ შეჭირვების წლებს გამოვლილი ადამიანები, ღრმად მოხუცებულნი, რომლებმაც მოძღვრებს პირველი და უკანასკნელი აღსარება გაანდეს და სული უფალს ჩააბარეს, საუკუნო საგზლად კი წმინდა ზიარება წაიმძღვარეს წინ. ამ დღეს ელოდნენ მოუნათლავები, რომლებიც დღეს ქრისტეს ნათლით არიან შემოსილნი. ელოდნენ წესაუგებელი და პანაშვიდის მაცხოვნებელი მადლის გარეშე დარჩენილი მიცვალებულთა სულები, ელოდნენ ჯვარდაუწერელი ასაკოვანი თუ ახალგაზრდა წყვილები, ელოდნენ რკინის სეიფებში გამოკეტილი სიწმინდეები და ოჯახებში საგულდაგულოდ შენახული წმინდა ხატ-ჯვრები, რომლებიც, ღვთის მადლით, დღეს ტაძრებს უბრუნდება.

ეპისკოპოსი მოციქულთა საქმის გამგრძელებელია, მათი მემკვიდრეა. მღვდელთმთავარი დღეს თავის სამწყსოში იმავეს აკეთებს, რასაც წმინდა მოციქულნი აღასრულებენ ქვეყნიური მოღვაწეობისას.

ღვთაებრივი დადგენილებით, ათი წელია, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსის ჯვარს ატარებს მეუფე ილარიონი. ათი წელია, სიმართლითა და ღვთისადმი მოშურნეობით მიუძღვის იგი თავის სამწყსოს ღვთის გზაზე.

არ იყო იოლად გასავლელი ეს ათი წელი. იყო ბრძოლა, წინააღმდეგობები... წლების მანძილზე რელიგიური რწმენის უგულვებელყოფამ ისე შეურია ერთმანეთს მართლმადიდებლური სწავლება და ხალხური ტრადიციები, რომ მორწმუნეთა ნაწილსაც კი უჭირს, ჭეშმარიტი რწმენისაგან განასხვავოს ცრურწმენა ანუ ხალხის მიერ გამოგონილი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მართლმადიდებლობასთან. პავლე მოციქული ბრძანებს: „სჯული მაშინ არს კეთილი, უკეთუ ვინმე წესიერად იპყრას იგი."

მსგავსი ქმედებებიდან გამომდინარე, ხშირად იქმნებოდა დაბრკოლება ხალხის მიერ, მაგრამ სიყვარულით დათესილი კეთილი თესლი მაინც აღმოცენდა – ეპისკოპოსის სახით ხომ ქრისტე მოქმედებს. გამოიღო მოთმინებამ და დაუცხრომელმა ლოცვამ ნაყოფი. დღეს ერი და ბერი ერთად აღასრულებს უფლისგან დაკისრებულ მოვალეობებს. მეუფე ილარიონის ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ცხოვრება ქრისტეს გზისთვის მოწოდებული ბევრი ადამიანისთვის გახდა მაგალითი. მისი ლოცვა-კურთხევით, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში მომრავლდნენ სასულიერო პირები და დღეს საღმრთო სიყვარულით შეკრული სულიერი ძმობის მადლით ხარობს ღვთის სიტყვას მოწყურებული ხალხი.

მიუხედავად იმისა, რომ უფროსი თაობის ცნობიერებას ატყვია უღმერთობის პერიოდის კვალი, შვილებს მოჰყავთ მშობლები ეკლესიაში, ცდილობენ, მშობლებს ჯვარი დასწერონ, ბებიები და ბაბუები უზიარებელნი არ წავიდნენ ამ ქვეყნიდან. საზოგადოებას, ეკლესიისაგან მრავალწლიანი გაუცხოების შემდეგ, კვლავ უბრუნდება სწორი რწმენა და სიღრმისეულ სულიერ განვითარებაზე ზრუნვა.

სულმა თავისთავად მოითხოვა ღმერთთან სიახლოვე. თანდათან ივსება ერთ დროს გამოცარიელებული და ისევ აღდგენილი ეკლესიები.

„არის ჟამი ნგრევისა და არის ჟამი შენებისა." მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში სულიერი და კულტურული

მშენებლობის ხანა დადგა. შენდება ეკლესია-მონასტრები და განახლდა უძველესი ტაძრები, მავანნი და მავანნი ამბობენ, რა საჭიროა ახალი ტაძრების აშენება სვანეთში, უძველესი და უამრავი ტაძრის ფონზეო. ალბათ, მათ გასაგონად აღნიშნავს ერის მამა, წმინდა ილია მართალი: „წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო მერმისისა." წინაპრების საამაყო წარსული ჩვენი ტაძრების ფრესკებში არეკლილა. მათ ჩაგვაბარეს მდიდარი აწმყო, ჩვენ კი მოვალენი ვართ, ჩვენი წინაპრების კვალდაკვალ ვიაროთ და მომავალ თაობას გადავცეთ ჩვენი შრომით და ლოცვით შექმნილი და კვლავ ილია გავიხსენოთ: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა."

მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსი ილარიონ ქიტიაშვილი
(ბიოგრაფია)

ერისკაცობაში დავით ნოდარის ძე ქიტიაშვილი დაიბადა 1957 წლის 22 ნოემბერს, ქ. ხაშურში. 1974 წელს დაამთავრა ხაშურის რკინიგზის №3 საშუალო სკოლა. 1974-76 წლებში მუშაობდა ხაშურის რკინიგზის სავაგონო დეპოში, მუშად. 1976-78 წლებში მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური, 1980 წელს კი ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ენერგეტიკის ფაკულტეტზე (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი). აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი მან 1985 წელს დაამთავრა. განაწილებით მუშაობა დაიწყო ქ. ქუთაისში, ქარხანა „ავანგარდში", ინჟინერ-ელექტრიკოსად. 1986-87 წლებში სამსახური გააგრძელა ხაშურის შუშის ქარხანაში, შემადგენელი საამქროს უფროს ზედამხედველად. 1989 წელს დაინიშნა ხაშურის საგალანტერიო ფაბრიკის გამოთვლითი ცენტრის უფროსად. 1989-95 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს გაზიფიკაციის სამინისტროსთან არსებული სასწავლო ცენტრის ფილიალებს ხაშურში, ქარელსა და ბორჯომში.

1997 წლიდან დავითმა აქტიური ეკლესიური ცხოვრება დაიწყო, მონაწილეობდა ეკლესია-მონასტრების აღდგენით სამუშაოებში. ამავე დროს, მან შეისწავლა მედავითნეობა. 1998 წლის 4 ნოემბერს, რუის-ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა დავითს დიაკვნად დაასხა ხელი. 1999 წლის 15 თებერვალს შედგა მისი მღვდლად კურთხევა. 2000 წლის 4 დეკემბერს აღიკვეცა ბერად, ქოზიფას მამათა მონასტერში. სახელად ეწოდა ილარიონი. 2001 წლის 4 დეკემბერს მღვდელ-მონაზონ ილარიონს იღუმენის ხარისხი მიენიჭა. 2002 წლამდე მსახურობდა სოფელ წრომში, მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძარში, აგრეთვე, სოფელ ხცისში, წმინდა გიორგისა და იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის მამათა მონასტრის და სოფელ ახალსოფელ-

ში, ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვრად. 2002 წლის 17 ოქტომბერს, წმინდა სინოდმა იგი მესტიისა და ზემო სვანეთის ახლადშექმნილი ეპარქიის ეპისკოპოსად გამოირჩია. 2002 წლის 3 ნოემბერს, სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ილარიონს ეპისკოპოსად დაასხა ხელი, ხოლო 2011 წლის 14 ოქტომბერს მას მთავარეპისკოპოსის ხარისხი მიენიჭა.

დეკანოზი გიორგი ჩართოლანი
(ბიოგრაფია)

ერისკაცობაში რევაზ სამსონის ძე ჩართოლანი დაიბადა 1960 წლის 1 აგვისტოს, დაბა მესტიაში. 1977 წელს დაამთავრა მესტიის №1 საშუალო სკოლა. 1979-81 წლებში იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ჩააბარა თბილისის საესტრადო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში. აქტიურად იყო ჩართული 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებში. მუშაობდა მესტიის კულტურის სახლის დირექტორის თანამდებობაზე. 1989 წლის აგვისტოს თვეში მეუფე კალისტრატეს მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად. ხოლო 1989 წლის 15 ოქტომბერს მონამეთობას მეუფე კალისტრატეს მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდლად. 1994 წელს დაჯილდოებულ იქნა დეკანოზის ხარისხით და ოქროს ჯვრის ტარების უფლებით. 2007 წელს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსის ილარიონის მიერ დაჯილდოებულ იქნა გაბრწყინებული ჯვრის ტარების უფლებით. მიტრის ტარების უფლებით დაჯილდოებულ იქნა უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ.

დეკანოზი გიორგი ჩართოლანი არის მესტიის სეტის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი. იგი არის მესტიის ქრისტიანული და კულტ-საგანმანათლებლო ცენტრის დამფუძნებელი და დირექტორი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

დაბა მესტია

მესტიის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარი დაბის ცენტრში, სეტში მდებარეობს. ტაძარი, წმინდა კვირიკეს და წმინდა ივლიტას ტაძართან ერთად, ზემო სვანეთის საერთო სალოცავს წარმოადგენდა. ამ ტაძარს განეკუთვნებოდა მნიშვნელოვანი ხატ-ჯვრები, რომლებიც ადგილობრივ სახელოსნოებში იყო შესრულებული. ამ ტაძარში ინახებოდა „ბედნიერი სვანეთის ერთობლივი ხევის დროშა“ – „ლემი“, ძალაუფლების ნიშანი და ლაშქრის მთლიანობის სიმბოლო. XIII საუკუნის ვერცხლის მოჭედილი დროშის შუბის პირი წარმოადგენს სეტის წმ. გიორგის, ლატალის წმ. იონას და უღვირის მთავარანგელოზს.

წმინდა გიორგის ძველი, ორსართულიანი ტაძარი გამორჩეული ყოფილა სიდიდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ის მიწისძ-

სეტის წმ. გიორგის ტაძრის საკურთხევლის წინამდებარე ჯვარი. XI საუკუნე.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. შუბის ბუნიკი. XIII საუკუნე.

ვრას შეუწირავს.

XVIII საუკუნის ბოლოს, ამავე ადგილას ახალი ერთსართულიანი ეკლესია აუშენებიათ. 1910 წელს, ექვთიმე თაყაიშვილმა ახალაშენებული ეკლესია მოინახულა, სადაც უკვე განძეულობა ინახებოდა.

რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, სეტის წმ. გიორგის ეკლესია მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზს წარმოადგენდა.

ამჟამად, სეტის წმინდა გიორგის ტაძარი მოქმედია და მისი წინამძღვარი დეკანოზი გიორგი ჩართოლანია. ამ ტაძარში წარადგინა მეუფე ილარიონი მისმა მოძღვარმა, რუის-ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა, 2002 წლის 7 ნოემბერს. წმინდა გიორგის ეკლესიაში, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსი და მესტიისა და ზემო სვანეთის მრევლი პირველად შეხვდა ერთმანეთს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 10 ნოემბერს ურბნელმა მიტროპოლიტმა „ურბნისობა“ მესტიის წმინდა გიორგის საკათედრო ტაძარში აღნიშნა და წირვა აღავლინა. ეს არის ნათელი მაგალითი ურთიერთის ტვირთის ზიდვისა და სიყვარულის გაზიარებისა.

ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული ახლადშექმნილი ეპარქიის ჩამოყალიბება, მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებმაც, მეუფე ილარიონის ჩამოსვლის დღიდან, გვერდში დგომითა და ერთგულებით გაიღეს სულიერი თუ მატერიალური შესაწირი ღვთის წინაშე. იმჟამად აქტიური მრევლისა და შემდგომში მესტიის რაიონის გამგებლის, ქალბატონ ნინო ჯაფარიძის მიერ ეკლესიისთვის გაწეული სამსახური ბევრისთვის გახდა მაგალითი.

2007 წელს, მეუფე ილარიონის ლოცვა-კურთხევით, მონდომებითა და დეკანოზ გიორგის (ჩართოლანი) ხელმძღვანელობით, განახლდა წმინდა გიორგის ტაძარი. შეიცვალა ქვის კანკელი, განახლდა ტრაპეზი, ჯიმშერ გუჯეჯიანის მიერ მოიხატა წმინდა გიორგის ტაძრის საკურთხეველი. მოხატულობის ხარჯების შემოწირვას ხელმძღვანელობდა თეზო ჯაფარიძე.

სეტის წმ. გიორგის ტაძრის საკურთხევლის მხატვრობა.

2007 წლის 23 ნოემბერს იკურთხა განახლებული ტრაპეზი. 2003 წლის 3 ნოემბერს, მეუფე ილარიონმა აკურთხა მესტიის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი, ტაძრის ქტიტორები არიან ვიქტორ ჯაფარიძე, ემზარ ჯაფარიძე და ოთარ ჩართოლანი. ტაძარი მოიხატა მერაბ ჩაკვეტაძის მიერ.

სეტის წმ. გიორგის ტაძრის კანკელი.

2007 წლის აპრილიდან, მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსის ლოცვა კურთხევით, გამოდის ეპარქიის გაზეთი „უძლეველი მხედარი“, რომელსაც სქიმარქიმანდრიტი ეგნატე (კურტანიძე) ხელმძღვანელობს.

2007 წლის 10 ნოემბერს, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა ილარიონმა აკურთხა მესტიაში ლეხთაგის ღვთისმშობლის



მესტიის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი.

მესტიის წმ. ილარიონ ქართველის სახელობის ტაძრის საკურთხევლის მხატვრობა.

მესტიის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის საკურთხევლის მხატვრობა.

მესტიის წმ. ილარიონ ქართველის სახელობის ტაძარი.



მესტიის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ბარელიეფი.

მესტიის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის კანკელი.

მესტიის წმ. ილარიონ ქართველის სახელობის ტაძარის კანკელი.

მესტიის წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარი.

მიძინების სახელობის ტაძრის განახლებული ტრაპეზი.

2008 წლის 5 მაისს, საეპისკოპოსო რეზიდენციის ეზოში იკურთხა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის საძირკველი. ტაძრის ქტიტორი ემზარ ჯაფარიძეა. ტაძრის მშენებლებმა, განსაკუთრებული მონდომებითა და ძალისხმევით, უმოკლეს დროში დაასრულეს ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი. 2009 წლის 30 აგვისტოს, ტაძარი მიტროპოლიტ იობის, ეპისკოპოს ილარიონისა და ეპისკოპოს ეფრემის მიერ იკურთხა. აგრეთვე, მესტიის საეპისკოპოსო რეზიდენციის ეზოში აშენდა ილარიონ ქართველის სახელობის ტაძარი, რომელიც მეუფე ილარიონმა 2010 წლის 9 სექტემბერს აკურთხა. ტაძრის ქტიტორები არიან მთავარეპისკოპოსი ილარიონი და მამუკა უჯერაშვილი. მეუფემ ტაძრის გახსნაზე ქადაგების დროს აღნიშნა, რომ ეს პირველი ტაძარია სვანეთში, რომელიც ქართველი წმინდანის სახელზე არის აშენებული. შემთხვევით არაფერი ხდება. ანგელოზებრ მმარხველი და დაუცხრომლად მლოცველი საკვირველმოქმედი მამის, ღირსი ილარიონ ქართველის სახელით გამოარჩია უფალმა მეუფე ილარიონი – სულის ამამაღლებელ ცხოვრების გზაზე შემდგარ მთავარეპისკოპოს ილარიონს წმინდა ილარიონ ქართველი მფარველობს.

„მარხვითა და მღვიძარებითა ჰასაკსა დააჭნობდა, ლოცვითა და მარადის ღმრთისა ხედვითა უხორცოთა მიემსგავსებოდა, ვიდრეღა წარემატებოდა მოღვაწეობითა ყოველთავე მყოფთა მის ადგილსათა უდაბნოსა მას შინა, რამეთუ ყოველთავე უკვირდა ეგეოდენი შრომა მისი და მოთმინება.“

მფარველი ანგელოზის სახელზე, ღვთის სადიდებლად და ერის სასარგებლოდ, ააშენა წმინდა ტაძარი მეუფე ილარიონმა.

2011 წლის 2 აგვისტოს, მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსმა ილარიონმა მესტიაში, ლანჩვალში, აკურთხა წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარი. ტაძრის მიმდებარე ტერიტორია შემოწირა ეთერ ნიგურიანის ოჯახმა. ტაძრის მშენებლობაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ამირან შელიამ. ასევე მონაწილეობა მიიღეს მარინა კახიანმა

და დავით ჯაფარიძემ. მეუფე ილარიონის ლოცვა-კურთხევით, ამ ტაძართან მიმდინარეობს სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა. წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვარია დეკანოზი ბასილი (ფილფანი).

მესტიის წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის ბარელიეფი.

მესტიის წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელობის მონასტერი.

მესტიის წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის კანკელი.

2012 წელს მესტიაში, ლავლადაშში, ნიგურიანების გვარის მონდომებით, აშენდა წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის ტაძარი, რომელიც მოიხატა დავით კინწურაშვილის მიერ.

მესტია. ლავალდაში. პეტრე-პავლეს სახელობის ტაძრის მხატვრობა.

მესტიაში, საეპისკოპოსო რეზიდენციის შენობაში, ფუნქციონირებს ქრისტიანული და საერო კულტსაგანმანათლებლო ცენტრი „ლაგუშედა“, რომელიც 2002 წელს დეკანოზ გიორგის (ჩართოლანი) მონდომებით და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა. ეს სკოლა უდავოდ არის ახალგაზრდა თაობის სულიერი და კულტურული აღზრდის კერა. უფლის მსახურებასთან ერთად, მამა გიორგი საერო საქმესაც ემსახურება. ამ სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ქართული კულტურა და ხელოვნება განვითარდეს. მომავალ თაობას ეძლევა საშუალება, შეისწავლოს ხელოვნებისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგი. აღნიშნული სასწავლებლის აღსაზრდელებს ბევრჯერ მიუღიათ მონაწილეობა სხვადასხვა ფოლკლორულ თუ საეკლესიო გალობის ფესტივალზე და წარმატებისთვისაც მიუღწევიათ. ამ სასწავლებელში ისწავლება სხვადასხვა დისციპლინა: ხატწერა, რელიგია, გალობა, ფოლკლორი, ქართული ენა, ინგლისური ენა, ქორეოგრაფია, გობელენი, ჭრა-კერვა, ქართული ხალხური საკრავები და ხის მხატვრული დამუშავება. ბავშვები, დღის მეორე ნახევრიდან, ამ სასწავლო ცენტრში აგრძელებენ ცოდნის მიღებას.

2010 წელს, მეუფე ილარიონის ლოცვა-კურთხევითა და მონდომებით, მესტიის რაიონში გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-გიმნაზია. სკოლა-გიმნაზიის რექტორი მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარ ეპისკოპოსი ილარიონია. 2011 წლის 1 სექტემბრიდან სკოლა-გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა მამა თეოდორე (არღვლიანი), ხოლო 2012 წლიდან დაინიშნა დეკანოზი ბასილ ფილფანი. გიმნაზიაში ამჟამად ფუნქციონირებს კლასები, პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით. გიმნაზიის მოსწავლეებს ასწავლიან კვალიფიციური მასწავლებლები. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ აღზარდოს განათლებული, ზნეობრივად და სულიერად ჩამოყალიბებული მოაზროვნე ახალგაზრდობა.

მესტიის სასულიერო გიმნაზია.

მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოს ილარიონის ლოცვა-კურთხევით, 2012 წელს, დაიწერა ეპარქიის მფარველი ხატი. მასზე გამოსახულია ყველა ის წმინდანი, რომელთა სახელზეც არის აშენებული ეპარქიის ტაძრები. ხატი დაიწერა მრევლის შემოწირულობით, ხატმწერ თევდორე ჯაფარიძის მიერ. ხატმა იმოგზაურა ეპარქიის ყველა სოფელში და მისი მეოხებით დაილოცა მთელი ეპარქია. ამჟამად ხატი დაბრძანებულია საეპისკოპოსო რეზიდენციის ეზოში მდებარე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში.

მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევითა და მონდომებით გადაწყდა მესტიაში მაცხოვრის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობა. ტაძრის საძირკველი იკურთხა 2012 წლის 22 სექტემბერს. მიმდინარეობს ტაძრის მშენებლობა. ამ ნათლითშემოსილ მადლიან საქმეს აფინანსებს ბატონი ირაკლი გურჩიანი, მას უდავოდ გაცნობიერებული აქვს რომ ეს ღვთის სადიდებელი და ერის სასარგებლო საქმე მის ოჯახს სულიერების გზაზე დიდ მადლს მოუტანს.

მესტია. მაცხოვრის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძრის მაკეტი.

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის მფარველი ხატი.

სქემარქიმანდრიტი ეგნატე კურტანიძე
(ბიოგრაფია)

ერისკაცობაში გიორგი მიხეილის ძე კურტანიძე დაიბადა 1978 წლის 8 ნოემბერს, ხაშურის რაიონის დაბა სურამში.

მამა, მიხეილ სოლომონის ძე კურტანიძე, დაბადებული 1954 წელს, მუშაობდა ქ. ხაშურის მინისტარის ქარხანაში, ცვლის უფროსად, სადაც 1981 წელს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად გარდაიცვალა.

გიორგი კურტანიძე მოინათლა 1979 წელს, ქ. ხაშურის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში. 1996 წელს დაამთავრა სურამის №2 საშუალო სკოლა. 1997 წელს დაამთავრა სურამის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სასოფლო-სამეურნეო ბუღალტრის სპეციალობით. 1998 წელს ჩააბარა ინსტიტუტში, ავტომობილების და ტრაქტორების ექსპლუატაცია-რემონტის ფაკულტეტზე. 2000 წელს შეუდგა მონასტრულ ცხოვრებას.

გიორგი კურტანიძემ 1999 წლიდან დაიწყო ეკლესიური ცხოვრება. გახდა სურამის კვირაცხოვლის სახელობის ტაძრის მრევლი, ხოლო ამავე წლის 21 სექტემბერს – სტიქაროსანი. მონაწილეობას ღებულობდა ეკლესია-მონასტრის აშენება-განახლებაში. 2002 წლის ზაფხულში ცხოვრობდა ქოზიფას მამათა მონასტერში. 2002 წლის 7 ნოემბრიდან ცხოვრობს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში. მისი სულიერი მოძღვარი, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში წამოსვლამდე, იყო არქიმანდრიტი სტეფანე (კორინთელი), მას შემდეგ კი მთავარეპისკოპოსი ილარიონია.

2003 წლის 31 მარტს, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპ-

ოსმა ილარიონმა, მესტიის სეტის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში გიორგი მორჩილის კაბით შემოსა. 2003 წლის 27 ივლისს იგი დაადგინეს წიგნის მკითხველად. ამავე წლის 2 აგვისტოს ეპისკოპოსმა ილარიონმა გიორგი კურტანიძე ბერად აღკვეცა და გრიგოლი უწოდა, წმინდა მოწამე გრიგოლ ფერაძის პატივსაცემად. 2003 წლის 3 აგვისტოს ბერი გრიგოლი კერძო დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 10 აგვისტოს – იეროდიაკვნად. 2003 წლის 23 ნოემბერს იეროდიაკონი გრიგოლი დიდ სქემაში აღკვეცეს და სახელად ეგნატე უწოდეს, მღვდელმოწამე ეგნატე ღმერთშემოსილის პატივსაცემად. 2003 წლის 4 დეკემბერს, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტმა იობმა, ქოზიფის მამათა მონასტერში, მეუფე ილარიონის კურთხევით, სქემიეროდიაკონი ეგნატე სქემმღვდელმონაზვნად აკურთხა. 2004 წლის 18 იანვარს, მეუფე ილარიონმა, სოფ. ლატალში, მღვდელმონაზონი ეგნატე მაცხოვრის ამაღლების ტაძრის წინამძღვრად დაადგინა. იგი, აგრეთვე, დადგენილია ლატალის წმინდა იონა წინასწარმეტყველის, ლატალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის, ლატალის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის და სოფ. ცხუმარის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრების წინამძღვრად. მღვდელმონაზონი ეგნატე, 2004 წლიდან 2011 წლამდე, სოფ. ბეჩოს უშხვანარის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, 2006 წლიდან 2011 წლამდე, სოფ. ეცერის ფხოტრერის მთავარანგელოზთა ტაძრის წინამძღვარი, 2005 წლიდან სოფ. ლატალის თანღილის მიქაელ მთავარანგელოზის მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო. 2006 წლის 11 თებერვალს მას ილუმენის ხარისხი მიენიჭა. 2008 წლიდან, ეპისკოპოს ილარიონის ლოცვა-კურთხევით, სქემილუმენი ეგნატე ხელმძღვანელობს სოფ. ლატალის წმინდა თამარ მეფის სახელობის სამრევლო სკოლას. 2011 წლის 5 ოქტომბერს მას მიენიჭა არქიმანდრიტის ხარისხი.

ჰყავს დედა და ძმა.

ლატალის იონა წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარი. X-XI ს.ს.

ლატალი

ლატალის თემი, სადაც იწყება ბალსზემო სვანეთი, ყველაზე მდიდარია ეკლესია-მონასტრების სიმრავლით. სოფელში 67 ეკლესია თუ ნაეკლესიარია. აქედან მნიშვნელოვანი ძეგლებით მაცხვარიში, იენაში, იფხი, ლაჰილი და ლახუშდი გამოირჩევა.

ლატალის მაცხოვრის ამაღლების ტაძარი X-XI საუკუნისაა. ტაძრის სახელს უკავშირდება უბნის სახელი „მაცხვარიში". ეკლესია მოხატულია. ფრესკული წარწერების საფუძველზე დადგენილია, რომ ტაძარი დემეტრე I-ის მეფობის მე-15 წელს, 1140 წელს მოიხატა. „მოიხატა საყდარი ესე მეფისა დემეტრესა წელსა (იე) ხელთა მიქაელ მაღლაკელისათა." ტაძრის მოხატულობა დავით აღმაშენებლის ძის, დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ფაქტს გადმოგვცემს (ამ მხატვრობას, კომპოზიციის თვალსაზრისით, ანალოგი არ მოეძებნება). ფრესკაზე მეფე დემეტრეს ხმლით მოსავს ორი ერისთავი, მათგან ერთ-ერთი დიდებული, სვანთა ერისთავი – ვარდანისძეა.

ტაძარში დაცულია მრავალი სიწმინდე, მათ შორის ვერცხ-

ლის ჯვარი – XI საუკუნის ტიხრული მინანქრებით და სევადით შესრულებული, მედალიონებით შემკული, რომელიც ითვლება ბიზანტიური ოქრომჭედლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიმუშად.

ათეული წლების განმავლობაში, მაცხოვრის ამაღლების ტაძარი, როგორც სხვა ტაძრები, ჩაკეტილი იყო და არ სრულდებოდა ღვთისმსახურება.

ლატალი. მაცხოვრის სახელობის ტაძრის საწინამძღვრო ჯვარი. XII-XIII ს.ს.

2004 წლის 18 იანვარს, მეუფე ილარიონმა სოფ. ლატალის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძრის წინამძღვრად აკურთხა სქემმღვდელმონაზონი ეგნატე (კურტანიძე) და ლატალში ახალი სულიერი ცხოვრება დაიწყო. დავიბრუნეთ წართმეული საუნჯე, წირვა-ლოცვის მადლი, რასაც სოფელი მოკლებული იყო თითქმის ერთი საუკუნე. უფლის მეოხებითა და მამა ეგნატეს ძალისხმევით, ლატალის ცხოვრება სრულიად შეიცვალა. სოფელმა შვება იგრძნო, ის უდიდესი შვება, რომელსაც ვერაფერში იპოვის ადამიანი, გარდა უფლის ყოვლისმომცველი სიყვარულისა. „ღამე იგი განგვეშორა და დღე შემოგვეახლა" (რომ. 13.12). აღსრულდა უფლის მოწყალება და ლატალში ყველა ეკლესია სიხარულით ღაღადებს, ლოცვის ძალამ შეარყია გულგრილობა, შფოთი, მტრობა. ასე დაიწყო ლატალში მიძინებული ჭეშმარიტი სარწმუნოების გამოღვიძება.

2005 წელს, მამა ეგნატემ, მეუფე ილარიონის ლოცვა-კურთხევით, თანღილის მთავარანგელოზთა ტაძართან, სოფლის ახალგაზრდების დახმარებით, სამონასტრო ცხოვრებისათვის

სენაკები ააშენა. თანღილის ეკლესია სოფ. ლახუშდიდან კილომეტრნახევრის სავალ მთაზე, შუაგულ ტყეში მდებარეობს, რომელსაც „თანღილ თარინგზელს“ უწოდებენ („თანაღ“ სვანურად მთას ნიშნავს, „თარინგზელ“ – მთავარანგელოზს). ეს მთა წმინდა ადგილადაა მიჩნეული და აქ სვანები ხესაც კი არ ჭრიან.

ეკლესია მრგვალი ფორმისაა, რომელიც გარედან სეფისკვერს ჰგავს, შიგნიდან კი ჯვრის ფორმისაა. ეკლესიაში განირჩევა ორი სხვადახვა დროის მხატვრობა: ადრეული – X-XI საუკუნეების და გვიანი – XIII საუკუნისა. ზომით პატარა ტაძარში, კედლებზე, საუფლო დღესასწაულთა რვა სცენა ორ რეგისტრადაა განთავსებული.

მეუფე ილარიონს ძალიან მოსწონებია თანღილის მთავარანგელოზთა ტაძარი და უთქვამს, ორი სენაკიც რომ იყოს, ალბათ მარხვას აქ გავატარებდიო. დღეს აშენებულია სამონასტრო სენაკები და მეუფე, სხვა სასულიერო პირებთან ერთად, ხშირად ატარებს მარხვის დღეებს ამ მონასტერში.

თანღილის მთავარანგელოზთა ტაძარს უკავშირდება სასწაული, რომელიც ფოლკლორულმა გადმოცემამ შემოგვინახა: XVIII საუკუნეში, ტაძარს თათრები შემოსევიან და ხატებისაგან გაუძარცავთ, ამ დროს, ერთ-ერთ ლახუშდელს სიზმარში უფლის ანგელოზი გამოცხადებია და უთქვამს, ქურდებმა გამძარცვეს და შენ სად ხარო. იმ კაცს უმალვე გაღვიძებია და ზარი შემოუკრავს, გაუღვიძებია სოფელი, ასულან თანღილზე

ნახ. იონა წინასწარმეტყველის სახელობის ტაძართან მშენებარე ანმათა მონასტერი.

და მართლაც უხილავთ გაძარცული ტაძარი, შეძრწუნებულ ხალხს დაუწყია ბჭობა, თუ რა გზით უნდა დადევნებოდნენ ქურდებს, მაგრამ მძარცველებს თვალები დაბრმავებიათ, გზა აბნევიათ და ხატებით ხელში, უფალს ისევ „თანღილის“ მონასტერთან მოუყვანია. ხალხს მძარცველები იქვე ჩაუქოლავს და ტაძრის მოშორებით დაუმარხავს, ხატები კი სოფელში ჩამოუბრძანებიათ, აუშენებიათ მაცხოვრის სახელობის ტაძარი და თანღილის ხატებიც იმ ტაძარში დაუბრძანებიათ, რომლებიც დღემდე იქ არის დაცული.

ლახუშდის მაცხოვრის ეკლესია სოფლის შუაგულში დგას. ეკლესიაში დაცული ჭედური და ფერწერული ხატები და ჯვრები XII-XIII საუკუნეებს და უფრო გვიან ხანასაც მიეკუთვნება. ლატალში ეს ტაძარი ხატ-ჯვრებისა და მღვდელმსახურების უძველესი ნივთების სიმრავლით გამოირჩევა.

2010 წელს, ლახუშდის მაცხოვრის ტაძარში, მირონ ფირცხელანის ძალისხმევით, დაიდგა ქვის კანკელი.

2008 წლიდან, ლატალში, მეუფე ილარიონის ლოცვა-კურთხევითა და მამა ეგნატეს ძალისხმევით, წმინდა იონა წინასწარმეტყველის ეკლესიის ეზოში სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს. იონა წინასწარმეტყველის ტაძარი X საუკუნისაა. ფრესკებიდან აღსანიშნავია იონა წინასწარმეტყველის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდი – მისი ხსნა ვეშაპისგან, რომლის ანალოგიც საქართველოს არცერთ ტაძარში არ გვხვდება.

ლატალმა დიდი რაოდენობით შემოინახა შუა საუკუნეების ძეგლები, მნიშვნელოვანი მხატვრობით, ხატწერის, ჭედური ხელოვნებისა თუ ხელნაწერთა უნიკალური ნიმუშებით. ლატალის ტაძრების საგანძურის უმეტესი ნაწილი მესტიის ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. მუზეუმში ექსპონირებულ ლატალის მუხერის მთავარანგელოზის ხატზე ვკითხულობთ წარწერას: „წმინდაო მთავარანგელოზო მუხერისაო, ხელთუქმარო, ადიდენ მეფენი ბაგრატიონნი და დადიანნი და დიდებულნი და ერთობილი საქართველო ხევი ლატალისა და აღაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაილისა და ყოველნი მადიდებელნი შენნი, და ამენ“.

შორეული წარსულიდან მოყოლებული, სვანეთი მუდამ სიმტკიცითა და თავგანწირვით ქმნიდა უფლის სათაყვანებელ ძეგლებს, რომელთაც უმეტესად მწვერვალებზე აშენებდნენ. თითქოს ცას სვეტად შესდგომია მუხერის მთაზე მთავარანგელოზთა ტაძარი. ის ზღვის დონიდან 2800 მეტრზეა აგებული. ამ ტაძრის აშენებას მეტად ამაღელვებელი თქმულება უკავშირდება: ადგილს, საიდანაც ამ ტაძრისთვის სამშენებლო მასალას ეზიდებოდნენ „ჭალაი“ ჰქვია. იქიდან მუხერამდე ოთხი კილომეტრია. ამ გზის გაყოლებაზე მდგარა ხალხის ცოცხალი ჯაჭვი, რომლებიც ერთმანეთს გადასცემდნენ ტაძრის საშენ ქვებს. გადმოცემის მიხედვით, რამდენიმე ადამიანი შეეწირა ამ ტაძრის აშენებას – ისინი, ვინც მწკრივის თავსა და ბოლოში მდგარან, ვისაც მეტი ფიზიკური დატვირთვა უწევდა. ამ თავგანწირვითა და სულისკვეთებით აზიდულა ცამდე XIII საუკუნეში მუხერის მთავარანგელოზთა ტაძარი, რომელიც XX საუკუნეში განახლდა. ალბათ, მრავალ მსგავს ფაქტს მიუძღვნა ჩვენმა დიდებულმა წინაპარმა თავისი უკვდავი სიტყვები: „ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისად ვერ შემუსრეს იგი.“

სიტყვა „მუხერი“ მახარობელს ნიშნავს და, განსაკუთრებით, უშვილოები და ძის მთხოვნელები შესთხოვენ შეწევნას ამ სალო-

ლატალი. მაცხოვრის მირონმდინარე ხატი. X-XII ს.ს.

ცავს. აქ მოსული ბევრი ადამიანის სასოება შეიწყნარა უფალმა.

ლატალში, მას შემდეგ, რაც ტაძარი მოქმედი გახდა, მრავალი საგულისხმო ფაქტი აღასრულა წირვა-ლოცვის მადლმა. ტაძრის კურთხევიდან ერთი წლის თავზე, მაცხოვრის ამაღლების ტაძარში, X-XII საუკუნის მაცხოვრის ხატმა მირონდენა დაიწყო, რაც ხშირად მეორდება და ამით ლოცვის ძალა და მადლი დაანახა უფალმა ხალხს. ის უძველესი სიწმინდეები, რომლებიც მოსახლეობამ დიდი რუდუნებით შემოინახა, მათივე ნებით უბრუნდება ეკლესიას.

ლატალის (შყალერის) წმინდა გიორგის ტაძრის ორი უძველესი ხატი სასწაულებრივად გადარჩა განადგურებას. რამდენიმე წლის წინ, როცა ამ ეკლესიასთან შესრულდა ერთ-ერთი ხალხური ტრადიციული რიტუალი, შესწირეს ზვარაკი. ორი დაფა, რომელიც ცეცხლზე იყო მიფარებული, ღვთის მადლით გადარჩა. სასწაულმოქმედმა წმინდა გიორგიმ კიდევ ერთხელ დაგვანახა თავისი ძალა და მისი ხატება დაწვას გადაარჩინა. იქ მყოფებმა შეამჩნიეს, რომ ეს, თითქოს ფიცრის უბრალო ნაჭრები, ხატები იყო. მოიყვანეს რესტავრატორი ჯიმშერ გუჯეჯიანი და მის მიერ გაიწმინდა გამურული და თითქმის დანახშირებული ხატები, რომლებიც წმინდა გიორგის და წმინდა თევდორეს ხატები აღმოჩნდა. დღეს ეს სიწმინდეები, მამა ეგნატეს ლოცვა-კურთხევითა და მოსახლეობის ნებით, ლატალის მაცხოვრის ამაღლების ტაძარში არის გადატანილი.

ვინ იცის, ათასწლოვან ჟამთატრიალში, რამდენი წმინდა ხატ-ჯვარი იქნა ბოროტის ხელით განადგურებული, რამდენმა კი სასწაულებრივად დააღწია თავი. შყალერის მაცხოვრის ეკლესია მდგარა სოფლის შუაგულში, კვერხში. ამ ეკლესიაშიც უამრავი განძი ყოფილა დასვენებული. ძნელბედობის ჟამს ისიც ვერ გადაურჩა მტარვალს. მძარცველებს, ერთ-ერთი ძარცვისას, ამ ეკლესიის მაცხოვრის ხატი გაქცევიათ. ხატს რამდენიმე ასეული მეტრი უფრენია და ერთ-ერთ ბორცვზე დასვენებულა. ქვა, რომელსაც ხატი მიყუდებია, გამსკდარა. ამ ფაქტით შეძრწუნებული ქურდები შეშინებულან და გაქცეულან. ხალხსაც გაუგია ყაჩაღობის ამბავი და მომხდარით გაოცებულთ ხატი სოფელში დაუბრუნებიათ. ის რამდენიმე ხანს ოჯახში ინახებოდა, შემდეგ კი ეკლესიაში გადაუბრძანებიათ.

ლატალელები ხშირად იხსენებენ იმ ამბავს, როცა, 90-იან წლებში, პატრიარქი ბრძანდებოდა სვანეთში, ლატალის წმინდა იონა წინასწარმეტყველის ტაძრის ეზოში საკმაოდ დიდხანს ელოდა ტაძრის მეკლიტურს, რომელსაც უნდა გაეღო ტაძარი. მადლობა ყოვლისშემოქმედს, ამ არცთუ შორეული წარსულისგან განსხვავებით, დიდი სულიერი ფერიცვალება მოხდა მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში. დღეს სვანეთის ყველა ტაძარი სიხარულით ელის მლოცველთ.

მამა ეგნატე, უკვე რვა წელია, მსახურობს ლატალში და ამ ხნის მანძილზე უამრავი სიკეთე დათესა და, რაც დრო გადის, უფრო და უფრო უხვ ნაყოფს იმკის. მისი კურთხევითა და დახმარებით ლატალელები აშენებენ ტაძრებს. ეკლესია ხომ უფლის სახლია, უფლის სახლის მშენებელს კი დიდი მადლი აქვს. ტაძრის შენება მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ.

2008-2009 წლებში ლატალში, ლელბაგის უბანში, ნატაძრალზე აშენდა მაცხოვრის აღდგომის სახელობის ტაძარი. ტაძრის ქტიტორი დავით აბდელანია.

2011 წელს, მაცხვარიშის უბანში, მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოს ილარიონის ლოცვა-კურთხევით, იკურთხა ტაძრის საძირკველი, რომელიც ასი ათასი ქართველი მოწამის სახელზე შენდება. ტაძრის ქტიტორია გიორგი (როსტომ) გირგვლიანი.

ლატალის მაცხოვრის სახელობის ტაძრის განახლებული ტრაპეზი.

2012 წლის 7 აპრილს მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსმა ილარიონმა აკურთხა ლატალის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძრის განახლებული ტრაპეზი.

ლატალის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძრის კანკელი

2000 წელს, ლატალში, ლამის უბანში, აშენდა იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის სახელობის ტაძარი. ტაძრის ქტიტორი ბესარიონ ხვინთელანია. მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოს ილარიონის ლოცვა-კურთხევით, 2006 წლის 11 სექტემბერს, იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე-

ლატალის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის კანკელი

სასწაულზე იკურთხა ტაძარი. მამა ეგნატეს მონდომებით ტაძარი განახლდა, დაიდგა კანკელი და მოიხატა მორჩილ ლუკა ბუცხრიკიძის მიერ. შეიცვალა ტრაპეზი და, 2012 წლის 27 სექტემბერს, მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსმა აკურთხა განახლებული ტაძრის ტრაპეზი.

მამა ეგნატეს განსაკუთრებული საზრუნავი მომავალი თაობაა. დღეს, როცა, სამწუხაროდ, უზნეობა მძვინვარებს, ადვილი შესაძლებელია, გამოუცდელი, ცხოვრების გზაზე ახლადშემდგარი ახალგაზრდა ეშმაკის მსხვერპლი გახდეს. ამიტომაც, მოძღვარს მთავარ საზრუნავად ახალგაზრდების სწორ გზაზე დაყენება გაუხდია. მოძღვარი ხომ ფარია, რომელიც მტრისგან ნასროლ ისრებს, სულიერი შვილების გადასარჩენად, თავად უხვდება.

მამა ეგნატე, 2008 წლიდან, მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოს ილარიონის ლოცვა-კურთხევით, ხელმძღვანელობს წმინდა თამარ მეფის სახელობის სამრევლო სკოლას, სადაც ისწავლება: მინანქრის ხელოვნება, ქარგვა, გობელენი და თექა. აგრეთვე, სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ამ

„ალილო“ სოფელ ლატალში – 2013 წ.